

**დადგენილება №25/2020** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

დადგენილება № 25/2020

5 მაისი, 2020

დადგენილება №25/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 მაისის N16 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტს დაევალოს:
  - ა) დაითვალოს ასანაზღაურებელი საათების რაოდენობა სპეციალობების მიხედვით იმ დისციპლინებში, რომელიც „ნაწილობრივ“ ხორციელდებოდა დისტანციური სწავლების ფორმატში;
  - ბ) დაითვალოს ასანაზღაურებელი საათების რაოდენობა სპეციალობების მიხედვით იმ დისციპლინებში, რომელთა სწავლება დისტანციური რეჟიმით შეუძლებელია;
  - გ) შეიმუშაოს თითოეულ დისციპლინაში ასანაზღაურებელი საათების ინტენსიურად ჩატარების ცხრილი;
  - დ) ცოცხალ რეჟიმში ასანაზღაურებელი საათების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმართულების ხელმძღვანელებს;

ვ) მიმართულებებიდან მოწოდებული ასანაზღაურებელი საათების შესახებ ინფორმაციის სასწავლო გეგმით და სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორები.

2. დეკანებს და მათ კოორდინატორებს დაევალოს მონიტორინგი აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ "ნაწილობრივ" და "სრულად" ჩასატარებელ დისციპლინებზე და მოახდინონ ყველა პრობლემური შემთხვევის იდენტიფიცირება სამომავლოდ ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისათვის.

3. ინდივიდუალური მეცადინეობების შემუშავება დაევალოს რელევანტური ფაკულტეტის დეკანებს, სასწავლო დეპარტამენტთან და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი ფაკულტეტის და მიმართულების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორებთან ერთად;

4. ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების შესრულების ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 20 მაისი.

5. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)

6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

7. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

